


# სახალხო გაზეტი

სურათიანი ჟამათი

გაზეთის № 563



ლაშქარის № 99

კვირა, | აპრილი 1912 წ.



პირველად თქმული „ქრისტე აღსდგა!“ სურათი ზიჩისა.

## გამცემი

ღრამა 3 მოქმედებად და 2 სურათად.

(დასასრული \*).

**შაქო.** (წამოდგება) რისთვის მოვა?... შენ, დედილო, გულმა გიგრძნო... ნინა მძიბე ავადმყოფია?... საშინელებაც ის არის, რომ მის ავადმყოფობას წამალი არა აქვს...

**მარიკო.** უიმე, შვილო, რას ამბობ?... ისეთი რა სენი უნდა სჭირდეს?... ღმერთმა დაიფაროს!.. მართალია ძრიელ გახდა და სისუსტეც ეტყობა, მაგრამ ხომ იცი რამოდენი ტანჯვა გამოიარა ამ ცოტა ხანში...

**შაქო.** რწმენის დაკარგვას არავითარი საშველი არა აქვს...

**მარიკო.** არა, შვილო, ნინა ძრიელ მორწმუნე ქალია... შენ ავადმყოფობის დროს სულ ლოცვაში ატარებდა... რა ამბები იყო, რა ამბები... გზაში ერთი რომ ვაჰქცევიათ, ამბობენ აქაური ტატე ყოფილაო, ის უსვინიდისო, ის უღმერთო, რამდენი სტრაენიკები მორეკეს, რამდენი ეძებეს, მთა და ბარი სულ გადააბრუნეს, მაგრამ ტატეს კვალიც კი ვერ იპოვეს...


**შაქო.** მარტო ერთი... ერთი გადარჩა?... ის... ის... ორნი?..

**მარიკო.** თუ სამართალი სადმე არის, სულ ლუკმა-ლუკმა უნდა აქციონ ისინი... განა ადამიანები არიან?... ნამდვილი ნადირები...

**შაქო.** დედა!.. კარგი... ნუ ლაპარაკობ... მეძინება... იქნება დავიძინო...

**მარიკო.** მოისვენე, გენაცვალოს ჩემი თავი... მე მაინც ბატონიანთსა უნდა გადავიდე... კნენია ქალაქს მიბძანდება, მინდა რამე დავაბარო... შენ ხომ არ დაგჭირდები?..

\* იხ. სურათიანი ჟამათი, № 98.



**შაქრო.** არა, არა... წადი... მე ცოტას დავიძინებ... მერე იქნება ბალში გავიარ-გამოვიარო... (მარიკო მიდის, კარებში ნინა შეხვდება. ნინა შემოდის).

**მარიკო.** (ნინას) გენაცვალე რა კაი დროს მოხვედი... თქვენსა მოვლილი და შაქრო მარტო რჩებოდა...

**ნინა.** წაბძანდით... მე აქ დავრჩები... (მარიკო გავა) შაქრო! გამარჯობა... (გადასდგამს რამოდენიმე ნაბიჯს მისკენ და შეჩერდება. შაქროც გაიწვევს მისკენ, მაგრამ მერე შესდგება) რასა იქ, როგორა ხარ?... თავს როგორა გრძნობ? დედა-შენმა მითხრა ახლა კარგად არისო...

**შაქრო.** რა მიჭირს, კარგადა ვარ!.. (გადასდგავს ნაბიჯს მისკენ) რაღას შეჩერდი?... რატომ არ მოხვალ ახლო?... რატომ არ გადახევევი, არ ჰკოცნი შენს ღვთაებას, შენს ღმერთს?... ხა, ხა, ხა... მიხვდი, განა?... გაიგე რომ კერპი დაიმსხვრა?... დაინახე?... თურმე კერპი უბრალო შუშისა ყოფილა... ღვთაება, ღვთაება!.. გაჰქრა შენი უნგარო სიყვარული, განა?... მაშ როგორ იქნებოდა?... კერპი ყალბი გამოდგა...

**ნინა.** (მიუახლოვდება, ხელს მხარზე დაადებს). ნუ აღელვდები შაქრო! ჯერ კიდევ სუსტადა ხარ და აღფშოთება შენთვის მავნებელია... მე თუ ცოტათი მშვიდად გექცევი ეს იმიტომ, მეშინიან არ ავალღვო, ვაი თუ ისევ ავად გახდე... გაფთხილება გჭირია...

**შაქრო.** რად ატყუებ შენს თავს და მეც?... იქ სადაც შენგნით წარმოდგენილი იდეალის მაგივრად სიყალბე აღმოჩნდა, იქ სადაც შენ ხედავდი ხასიათის სიმტკიცეს, გმირობას... ნამდვილად კი სილაჩრე და სისუსტე ყოფილა... რა თქმა უნდა შენი აღტაცება, შენი გრძნობა უნდა გამკრალიყო... ხასიათის სისუსტეს, სიდაბლეს კიდევ არა უშავდარა, მაგრამ მაგარიც ის არის რომ აქ უფრო უარესი საზიზღრობა გამოაშკარავდა... მე... მე ვერ გაგამტყუნებ შენ... და განა მაქვს კი ნება შენი გასამართლებისა... რა თქმა უნდა შენ თავად უსაზღვროდ იტანჯები... იდეალი დაგეშსხვრა... რწმენა, ნდობა გაჰქრა... მე მარტო საზიზღარი ვარ...

**ნინა.** შაქრო!.. კარგი გეყოფა... დამშვიდდი... მე ჩემს გრძნობას ვერ გამოვცვლი... მე შენთვის ისევ ის ვიქნები, რაც ვიყავი...

**შაქრო.** შებრალება?... ხა, ხა, ხა... მსხვერპლი?... (მიუახლოვდება, თითქმის წასჩურჩულებს) რაც გინდ საბრალო ვიყვე და საზიზღარი... გესმის?... მე მაინც და მაინც... ნება მაქვს... ჩემდამი შემოაწირული მსხვერპლი მივიღო ან არ მივიღო... ამ უფლებას ვერავინ წამართმევს... ნუ... ნუ რას მეტყვი... თუ გინდა რომ შენი მშვენიერი, პატიოსნებით სავსე სახე, კეთილშობილი გული და უმანკო, პირდაპირი და წმინდა სული აგრედვე დარჩნენ ჩემს შენზე წარმოდგენაში... ნუ მეტყვი რომ გიყვარვარ... შენის მხრით ჩემდამი სიყვარული მას აქედ, რაც მოხდა, შეუძლებელია... ეგ სიყვარული კი არა და ან შებრალება ან არა და მოვალეობის მონობა... არც ერთს და არც მეორეს მე არ მივიღებ... ერთიც და მეორეც შენ დაგამტკიცებდნენ... სჯობს სამუდამოდ გამოვეფთხოვოთ ერთმანეთს... შენთვის სიკოცხლე მომავალშია, შენ შეგიძლიან გაჰყვე შემდეგშია იმ გზას, რომელსაც აქნობამდისინ მისდევდი... დეე შენთვის ერთი იდეალი დაიმსხვრა... შენ შეგიძლიან ეძებო და იპოვო კიდევ სხვა რამ... განა მარტო სიყვარულშია ცხოვრების მიზანი?... შენ ძენის სურვილი და ნება მაინც გექნება... შენ ტირილი და გოდება მაინც შეგიძლიან დაკარგულ საუნჯეზე, წარსულ ბედნიერებაზე და მე?... მე კი გზა მომავლისკენ შეკრული მაქვს... და წარსულზე არამც თუ ტირილი, მარტო მისი მოგონებაც კი ჩემთვის საშინელებაა... ხა, ხა, ხა... ჰა? რას იტყვი?... შაქრო, შაქრო ჩვილიშვილი მოღალატეა... გამცემი... დამბეზლებელი... (თითქმის დაეცემა სკამზე, ნინა მივარდება, მოეხვევა).

**ნინა.** შაქრო! რას ამბობ?... ეგ რამ ვათქმევინა?... რაზე იხეთქავ გულს?... ადამიანი სიკვდილს გადაარჩინე და განა შენი ბრალია, რომ ის... ის საცოდავები უბედურობაში ჩავარდნენ?..

**შაქრო.** (წამოხტება) გადავარჩინე?... ჰო, ჰო... გადავარჩინე... არჩილი გადავარჩინე... ხა, ხა, ხა... დიახ, არჩილი გადა-

ვარჩინე... მერე?... აბა შემომხედე, აბა ერთი, სწორედ მიპასუხე... არჩილის მაგივრად ასლანი ან პაქუა რომ ყოფილიყვნენ, გადავარჩინდი?... მითხარი: გადავარჩინდი?..

**ნინა.** მე მგონია, თუ კი შემთხვევა მოგეცემოდა გადაარჩინდი იმათაც...

**შაქრო.** შენ აგრე გგონია?... სტყუი... შენ დარწმუნებული ხარ, რომ ხელსაც კი არ გავანძრევდი... დიახ, მეც გეტყვი: ხელსაც არ გავანძრევდი... მაგრამ არჩილი კი გადავარჩინე, გაიგე, არჩილი?... და განა ჩემთვის არჩილი, ასლანი და პაქუა ერთი და იგივე არ უნდა იყვნენ?... მაგრამ არჩილის სიკეთე ჩემხედაა... მე მისი მოვალე ვარ... დაქრთამული ვარ მის ჩემზე სიკეთით და ამაგიტ... გაიგე?... მაშასადამე... მე მოლაღატე გამცემი და ისიც ქრთამის გულისთვის... ო-ო, წადი, წადი... მალე მომშორდი... ჩემი ქუჩკი, ჩემი საზიზღრობა არ მოგეცხოს...

**ნინა.** დამშვიდდი შაქრო... აგრე როგორ შეიქლება?... ლამის არის მეორედ თავი ავად გაიხადო... მეტის-მეტად სასტიკად და უსამართლოდ სჯი შენს თავს... რასაკვირველია სჯობდა რომ ეს უბედურობა არ მომხდარიყო... მაგრამ შენ... შენ... აქ იმოდენი ბრალი არა გაქვს... როგორც უბედურ შემთხვევას... მართალია, მე ასე მგონია; პირდაპირ რომ არჩილი გაგეფთხილებინა... ან ჩემთვის გეთქვა... იქნება ან არა სასიამოვნო შედეგს ავცდებოდით... მე... ასე მგონია... იქნება ვცდები... მაინცა და მაინც ის რაც მოხდა... არა შენი მიზეზით...

**შაქრო.** შენ აგრე გგონია?... გგონია ამიტომ რომ შენი პირდაპირი და პატიოსანი ხასიათი უკუღმართობას, სილაჩრეს ვერ ურიგდება... აკი გეუბნები შენ სავსებით, ვერ იცნობდი იმ ადამიანს, რომელიც გმირად და იდეალად დაისახე... მე... მე... ლაღატშიაც კი, საზიზღრობაშიაც კი გამხედლობა ვერ გამოვიჩინე... ქურდულად, უკანონოდ... ფარულად... გავყადე ის საცოდავები... მე გთხოვ, გვედრები... ნუ კი გეწყინება... წადი... მარტოდ დამტოვე... შეცოდებით ნუ დაამცირებ თავს... შენი სიახლოვე უფრო მიწარებს გულს, თუ კი კიდევ რაიმე სიწმარე ჩემთვის საგრძნობელია... მშვიდობით... წადი...

**ნინა.** კარგი, ოღონდ შენ დამშვიდდი და მე წავალ... მხოლოდ შენ ისეთ მდგომარეობაში ხარ ახლა, რომ შენი მარტოდ დატოვება... მეშინიან... (დააცქერდება) შაქრო!..

**შაქრო.** ხა, ხა, ხა... იქნება გგონია მე ჩემს თავს აუტეხო რამე?... არც მაგოდენი გამხედლობა მაქვს... მაგისი ნუ გეშინიან... არა... არა... დამბლას და ლაჩარს ეგ არ შეუძლიან... ძალა არ შემწვეს...

**ნინა.** აი მივიღვარ... ოღონდ დამშვიდდი... ნახვამდის...  
**შაქრო.** მშვიდობით!..

**ნინა.** ნუ თუ ერთი აღერსიანი სიტყვა არ მოგვბოვება ჩემთვის?..

**შაქრო.** ეგ შენთვის შეურაცყოფა იქნებოდა... მშვიდობით... მოწყალეა იქონიე, ნულარ მტანჯავ...

**ნინა.** კარგი, კარგი... მივიღვარ... ნახვამდის (მიდის კარებისკენ, თან უკან იხედება და უცქერის შაქროს. შაქრო თავ ჩალუნული სდგას. ნინა გავა სამზარეულოსკენ. შაქრო მივა განჯინასთან, გააღებს, ეძებს, ამოიღებს რევოლვერს. სამზარეულოდან ხმაურობა მოისმის. შაქრო რევოლვერს უბეში, დამალავს შემოდის ნინა) შაქრო! ბალში ვიღებე გელოდებინ, მგონია ერთი სიკო უნდა იყოს... (მოეხვევა, ჰკოცნის) შენი სულის ჭირიმე თავს გაუფთხილდი... მე აქედან გავალ... (მიდის მარჯვენა კარებიდან. შაქრო გასწვეს სამზარეულოსკენ. შემოდის სიკო, ლევან და მიხაკო).

**სიკო.** (თვალს არიდებს შაქროს) გამარჯობა!..

**ლევან.** უღროდ შეგაწუხეთ... გვაპატიე... მეტად საჭირო საქმე და ამასთან არა სასიამოვნო გვაქვს შენთან...

**მიხაკო.** ხომ არავინ დაგიშლის?... უკაცრავად შეგაწუხებთ...

**შაქრო.** მობძანდით... ცოტა არ იყოს თქვენი ქცევა და ბოლიშები მაკვირებს... (ყველანი დასხდებიან. ცოტა ხანს სიჩუმეა. სიკოს მღელვარება ეტყობა. შაქრო ხან ერთს შეხედავს, ხან მეორეს, ყველანი თითქოს თვალს არიდებენ).

**ლევან.** რაღას გაჩუმებულხართ?... სტყვით, კაცო, რისთვისაც მოვედით...

**მიხაკო.** შაქრო! სიკოს თხოვნით ჩვენებმა ერთი მძიმე საქმე დაგვაგვალეს და ამ საქმეში შენ უნდა გვიშველო და და-



ა. ი. ჰერცენი.

გვენმარო... სიკოს ისეთი უბედურობა დამართა, რომ ლამის არის თავის პატიოსანი სახელი დაჰკარგოს... შენ კარგად გესმის რა ძნელია ექვი... მეტადრე იმ გვარ საქმეში, სადაც რწმენა და ნდობა ირყევს...

**ლევან.** რაღას აჭიანურებ?... არ ვიცი აქ რა წინასიტყვაობაა საჭირო?.. „შაქრო“.. შენ კარგად იცი აქ რაც მოხდა... ვილაშკე გასცა ბიჭები... გასცა თუ როგორ მოხდა ისინი კი დაიჭერს... ისიც გეცოდინება რა განზრახვით ჩამოვიდნენ აქ ბიჭები... ერთს მათგანს ბედმა გაუცინა და პოლიციას ხელიდან გაუსხლტა... ეს, თქვენებური ტატე, რა თქმა უნდა თავის ამხანაგებთან დაბრუნდა და ყოველისფერი რაც იცოდა უამბო... ტატემ ექვი პირდაპირ სიკოზე მიიტანა და აუხსნა ამხანაგებს, რომ არჩილის წინააღმდეგ შეთქმულობა და განზრახვა მარტო სიკოს გავაგებინეთო, ისიც უთხრა რომ სიკო მათ უშლიდა და ლაპარაკიც მოუვიდათ... ტატეს ამხანაგებმა სიკო დაიბარეს და გაასამართლეს... აი თვითონ სიკო გაიმბობს რა მოხდა იქ...

**სიკო.** (წამოდგება) მე მივედი... გამომკითხეს... მათმა ბელადმა ასე მითხრა: „მე ჩემ ჯაშუშობას და ლალატობას უფრო ადვილად დავიჯერებდი, ვიდრე შენზე რაიმე ამ გვარ ექვს მივიტანდიო... მაგრამ შენ თავად ხედავო საქმის გარემოებას... ჯაშუშობას მაინც ვერ დაგაბრალებთო, ხოლო ამაში კი ვართ დარწმუნებული, რომ ვისმე ეს განზრახვა გაუზიარეო... და თუ ეს ასეა, სჯობს პირდაპირ და გულახდილად დავგასახელო ის კაციო... მე ბევრი უფიცე ამ საქმეში დამნაშავე არა ვარ მეტი... მაგრამ ვფიცულობდი და თავადვე ვგრძნობდი, რომ ჩემის ფიცით და უარით მე მათში უფრო მეტს ექვს ვბადავდი... ბოლოს გადაჭრით გამომიციხადეს: „ან ის პირი დავგისახელო, ვისაც გაუზიარე ჩვენი განზრახვაო, ან არა და არჩილი თავიდან მოგვაშორეო... გაძლევ, სამი დღის ვადას, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ნუ დავგემდურები ჯაშუშად გამოგაცხადებთ და შესაფერადაც მოგექცევითო“... მინდოდა იქვე მეტქვა, რომ ვერც ერთს და ვერც მეორე წინადადებას ვერ ავასრულებ და დეე იქვე დავესაჯე... მაგრამ სახელი?... ჩემი წმინდა სახელი?... სიცოცხლის დაკარგვა არ არის ძნელი, მაგრამ სახელი, პატიოსნება?... ამის დაკარგვა... ჩირქი... მერე რა საზიზღარი ჩირქი... ო-ო, ეს ათ სიცოცხლედ მიღირს... მე წამოვედი ჩვენებთან... უამბე ყოველისფერი... (ჩაღუნავს თავს) მაპატიე, შაქრო, მე ჩვენებს ვერა დაუმაღე რა... (ცრემლით) ყოველისფერი უამბე... მიშველეთ მეტი... დამიხსენით ამ საშინელ ბრალდებისგან... (დაჯდება და პირზე ხელებს აიფარებს).

**მიხაკო.** (შაქროს) ჩვენებმა შენათან გამოგვეზავნეს... ესეც კი უნდა გითხრა, რომ როდესაც სიკომ ყოველისფერი აგვიხსნა და გვიამბო, არც ერთს ჩვენგანს ერთს წუთსაც რაიმე ექვი შენდამი არ შეგვეპარვია... შენი წარსული, შენი ღვაწლი საერთო საქმეში არ გვაძლევს არავის ნებას შენზე რამე ისეთი ვიფიქროთ... მართალია ამ უკანასკნელ დროში ბევრი ისეთი მაგალითები მოხდა, რომ ვგონებ ახლა თვით კეისრის მეუღლეს ექვს ზევით ვერ დააყენებენ, მაგრამ შენ, ჩვენ თვალში ყოველგვარ ექვს გარეშე ხარ... მიუხედავად ამისა შენც დამეთანხმები, რომ საქმე იმდენად ბუნდოვანად არის ჩვენთვის, რომ ძნელი გასაგებია. უბედურობაც ის არის, რომ აქ სრულებით უღანაშაულო ადამიანს, სიკოს სახელს, ჩირქი ეცხება და ჩვენ გვეჯერა და გთხოვთ კიდევაც ეს ჩირქი ამ ჩვენს ამხანაგს მოაშორეო... მისი სახელი გასწმინდო... კერძოდ მე დარწმუნებული ვარ, რომ აქ რაღაც უბედური შემთხვევაა... რა თქმა უნდა სიკოსთვის არჩილ დიდძე არასფერს წარმოადგენს... იგი მისთვის მარტო განსაზღვრულ წრის წევრია... იგი ხალხის მტერია... როგორადაც ყოველი მის გვარი... მაშასადამე სიკოს არავითარი ინტერესი არა ჰქონდა ასეთ თუ ისე მას დახმარებოდა... შენივის კი ყველა ამის გარდა არჩილი მაინც და მაინც სულ კიდე სხვა რამ არის... კაცი შენი მახლობელია, მისგან შენ ბევრითა ხარ დავალებული... ადვილად შესაძლებელია, რომ შენ გრძნობამ შეცდომაში შეგვიყვანა... იქნება უნებლიედ ისეთ საშუალებას მიმართე, რომლის აუცილებელ შედეგს შენ ვერ არკვევდი... ან არა და იქნება შენგან დამოუკიდებელ მიზეზით, შენმა კეთილმა განზრახვამ სულ სხვა ნაყოფი გამოიღო... ვიმეორებ ჩვენ აქ მარტო უბედურ შემთხვევას ვხედავთ...

**ლევან.** ერთი სიტყვით, შაქრო, ის ბიჭები დაიჭირეს და როგორც ჩვენ დანამდვილებით გავიგეთ პოლიციას არავითარი საბუთი ხელში არა აქვს მათ წინააღმდეგ, გარდა რაღაცა წერილისა... ამ წერილის შინაარსი და დამწერის ვინაობა ჩვენ არ ვიცით... შენ შეგიძლიან ეს დანამდვილებით გავიგო, რადგანაც არჩილს არ დაუმაღავენ. ჩვენც იმიტომ მოგმართეთ შენ, რომ დარწმუნებული ვართ ამ საქმეს ღირსეულად და პატიოსნურად დააბოლოებ...

**შაქრო.** მეტის მეტ შებრალებას იჩენთ... სთქვით პირდაპირ... დაასახელეთ ჩემი საქციელი ისე, როგორც შეჰფერის... დამიძახეთ ის, რისიც ღირსი ვარ... თორემ... თორემ მაგვარი შებრალება შეუბრალებლობაზე უარესია. მაგრამ გვანა მე რისიმე უფლება მაქვს?... სიკო... სიკო!.. შენ წინაშე ჩემი დანაშაული... გიცხადებთ ახლავე... რომ ამ პატიოსანმა... ამხანაგმა... დიხს, საიდუმლოება გამომიქლაგნა... რადგანაც დარწმუნებული იყო რომ... პატიოსან ამხანაგთან ჰქონდა საქმე... გამაფთხილა კიდევც, ისეთი რამ არ ჩაიღინო... ერთი სიტყვით სიკოს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის... ამას მალე დავიმტკიცებთ... სიკო, მაპატიე, თუ კი პატიება შეიძლება... და... რაც შენ ტატეს ამხანაგებმა დაგაკისრეს... მე... მე... ავასრულებ... მე დავიმტკიცებთ რამდენად ძვირფასია ჩემთვის არჩილ დიდძე... ამხანაგებო!.. უკაცრავად... ამის ღირსი აღარა ვარ... გვევდრებით, გეხვეწებით... ცოტა ვადა მომეციო... და მე თავად გავასამართლებ ჩემს თავს და საქმესაც ისე დავაბოლოოვებ, როგორც იგი უნდა დაბოლოვებულიყო...



ა. პ. ფილოსოფოვისა.

**მისაკო.** (წამოდგება და მასთან სხვებიც) შაქრო! ვიმეორებ... ჩვენ შენზე არაფერი ექვი არა გვაქვს... თუ შენ თავად შენს თავს აგრე სასტიკად სჯი, მაგის მიზეზი აღელვება და ის უბედური შემთხვევაა, რომელიც, როგორც დარწმუნებთლი ვარ უნებლიე შეკდომას მოჰყვა... ჩვენ აქ მოსამართლენი არა ვართ, არავის ესჯით... ჩვენ გესურს მარტო ორს ჩვენს ძვირფასს და საუკეთესო ამხანაგებს საზარელი ბრალდება თავიდან ავაშოროთ. რაც შეეხება იმ ორს წინადადებას, რომელიც ტატეს ამხანაგებმა დაუყენეს სიკოს, ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა იმათთან მოლაპარაკება და შევეთანხმდით კიდევ... მათ საქმე ჩვენ გადმოგვცეს და წინაწინვე დაჰყავდნენ იმ გადაწყვეტილებას, რომელსაც ჩვენ საქმის გარჩევის შემდეგ მივირღებთ... არჩილ დიდის შესახებ წინადადება ჩვენ ერთხმად უარყავით და შენ რასაკვირველია მიხედობი რა მოსაზრებით... რადგანაც მეორე წინადადება სიკომ უკვე ასრულა, ჩვენ გადავწყვიტეთ მოგმართოთ შენ და შენვე მოგანდოთ ამ საქმის დაწვრილებითი გამორკვევა და მისი ღირსეულად დაბოლოვება. ჩვენ გვწყალობს რომ შენ გმირულად და პატიოსნურად ასრულებ ჩვენ დავალებას... ჩვენ ახლა მივდივართ და დარწმუნებული ვართ რომ ყოველგვარი ექვი და ქუქყი, შენისევე წყალობით, შენც და სიკოსაც ავცილებდებით... ვიმეორებ: დამშვიდდი, ნუ ასჩქარდები... ვაი თუ აღელვებამ ისეთი რამ ჩაგადენინოს, რომ საქმე უფრო გართულდეს... შენ თავად მოიფიქრე და ყოველისფერი ასწონ დასწონე...

**ლევან** (მივა და შაქროს ხელს ჩამოართმევს) ამხანაგო! გმირი იყავი და გმირულად უნდა მოიქცე...

**მისაკო.** (შაქროს ხელს ართმევს) ჩვენ წავალთ, სიკო დარჩება და მოილაპარაკეთ... ნუ ასჩქარდები... მოკლედ მოგიქრი: ჩვენ მთელ საქმეში მარტო იმ წერილის შინაარსი და ავტორი გვინტერესებს... აი ეს გაგვიგე და შეგვატყობინე... დანარჩენში დარწმუნებულნი ვართ რომ არც შენ და არც სიკოს არავითარი დანაშაული არ მიგიძღვით... (მისაკო და ლევან გავლენ)...

**სიკო.** შაქრო!.. მპატიე... სხვა რიგად არ შემეძლო მოვქცეულიყავ... მეტის მეტი საზარელი ბრალი შედებოდა...

**შაქრო.** ო-ო, სიკო, სიკო... ნუ შტანჯავ... მეყოფა... (დაეცემა სკამზე. პაუზა) არჩილი შენთვის ძვირფასიაო?... ხა, ხა, ხა... ღიახ, მეტის მეტად ძვირფასია... უძვირფასესია... შენ შენ თავად გაასამართლე შენი თავიო... ეს გამომდინარეობს მათი სიტყვებიდან...

**სიკო.** გარწმუნებ, შაქრო, ეგ იმათ აზრდაც არა ჰქონიათ... რას დაგიმალავ... ჩვენებს ისრე ჰგონიათ, რომ შენ არჩილი გააფრთხილე და არჩილმა კი პოლიციას მიმართა... ხოლოდ ექვი წერილის შინაარსზე აქვთ... და იმედოვნებენ რომ შენ ამას გაიგებ და შეატყობინებ...

**შაქრო.** (მიუახლოვდება) მაშ... მაშ... შეატყობინე... წერილი შაქროს დაწერილია თქო... (სიკო უკან დაიხვეს) ხა, ხა, ხა... არ მოელოდი?..

**სიკო.** შენ?... შენ?... პოლიციასთან?...

**შაქრო.** (უახლოვდება) ისიც უთხარი... არჩილ დიდძე შაქრო ჩვილი შვილზედ, თქვენ ერთგულ ამხანაგზედ უფრო პატიოსანი აღმოჩნდათქო... გაიგე?..

**სიკო.** (ხელსა სტაცებს) არა მჯერა... შეუძლებელია... შაქრო... არა... შენ?... არა... არ დავიჯერებ...

**შაქრო.** არა... პირდაპირ პოლიციისთვის არ მიმიმართავს... დალატშიაც გულადობა და გამბედაობა ყოფილა საქრო... მე უფრო სილაჩრე გამოვიჩინე... უამბე, უამბე იმათ... (საჩქაროდ) რომ შაქრომ უსახელო წერილი მისწერა არჩილს, აფთხილებდა ამ საღამოს ნურსად ნუ გახვალო... არჩილმა წერილს ყურადღება არ მიაქცია... მაგრამ იგი მის დედას ხელში შემთხვევით ჩაჰვარდნია და დედას კი ბოქაულისთვის გაუგზავნია... ბოქაული ჩასაფრებულა და... შედეგი შენ იცი... უთხარი, აუხსენი ყოველისფერი... უთხარი აი შაქრო ჩვილი შვილისა ყოფილათქო...

**სიკო.** მადლობაა ღმერთს... ეგ ბევრით ნაკლებია...

**შაქრო.** ხა, ხა, ხა... შენ აგრე გგონია?... უარესია, უარესი...

**სიკო.** კარგი შაქრო... მეც დამნაშავე ვარ, მე არ უნდა შეთქვა შენთვის... არჩილის შესახებ...

**შაქრო.** რას ჩააცივდით მაგ არჩილს?... გაიგე და შეიტყე, რომ ქვეყანაზედ არ არის ადამიანი არჩილზე მეტად საზიზღარი ჩემთვის... „გმირულად უნდა მოიქცესო...“ კეშმარტებაა, სიკო... მაგრამ უბედურობაც ისაა, რომ გმირობისა არა მბადია რა... აი ტატეს ამხანაგების დადგენილება... გმირების გმირული დადგენილება... ან თავი იმართლე, ან ის შესარულე, რის შესრულებასაც აგრე

საზიზღარად ხელი შეუშალო... სიკო, ნუთუ არ გხანძვას ის ჰაერი, რომლითაც ჩემთან ერთად სუნთქავ?... (ქუჩის კარს დაარაკუნებენ).

**სიკო.** (წამოხტება) ვინ უნდა იყოს?... კი არავინ მომასწროს...

**შაქრო.** (უჩვენებს სამზარეულოსკენ) მანდეთ ვალი... მერე ბალებე წახვალ...

**სიკო.** მაშ ჩვენებს რა გადავცე?... (კარს კიდევ დაარაკუნებენ).

**შაქრო.** დაწვრილებით უამბე, რაც გითხარი... წალი...

**სიკო.** მშვიდობით!... (გავა. შაქრო მიდის და აღებს ქუჩის კარს და უცბად უკან დაიხვეს. შემოდიან არჩილი, ელენე და ნინა).

**არჩილ.** გაუმარჯოს ჩვენს ავადმყოფს!.. შაქრო, რასა იქ, როგორა იარ?... (მიდის იმისკენ. შაქრო უკან უკან იწევს და მაგიდას მოეფარება) რას შვრები შაქრო?... ნუ თუ ჩვენმა ნახვამ აგრე შეგაშინა?... სიცხე ხომ არა გაქვს?... საწყალი ნინა ისეთი გულგახეტეილი მოვიდა წელან... შენ ძრიელ შეგეშინებინა... ჩვენც ვერ მოვითმინეთ და შენს სახანავად წამოვედით...

**შაქრო.** (არეულად) დაბრძანდით... გმადლობთ, ახლოს ნუ მომეკარებით... იქით... იქით... ტახტზედ დაბრძანდით... ან არა და ბაღში მიბრძანდით... დედაც ახლავე გაიხლებათ... დაბრძანდით... მიბრძანდით... (ისტერიულად იცინის და დაეცემა სკამზე. არჩილი და ნინა მიემშველებიან. ელენე სამზარეულოში გავა და ქიქით წყალს გამოიტანს).

**არჩილ.** შაქრო, დამშვიდდი... ეგრე როგორ შეიძლება... ჯერაც ნერვები კიდევ ძლიერ დასუსტებული გქონია... მაჯაც ვერაფრად გიცემს... სიცხე გაქვს კიდევ... წამოდი ტახტზედ წამოწეკი... (უნდა წამოაყენოს, შაქრო თავად წამოხტება, გაეშვება).

**შაქრო.** (თითქმის ყვირის) რა ვინდათ ჩემგან?... მომშორდით... დამანებეთ თავი... (არჩილს). ნუ თუ მთელი შენი სიცოცხლე ჩემს დამცირებაში უნდა გაატარო?... რა ვქნა, რა ვინდა ჩემგან?... მონად გამხადე... მეტის-მეტი დავალებით სული შემეგუბე... გეხვეწები, გვევლრები: მომშორდით... არ გეყო? უფსკრულამდინ მიიყვანეთ... გიხაროდით... ახლა მაინც დამანებეთ თავი: ჩვენ შორის საერთო არა არის რა... წაღით... მომშორდით... გაიგეთ, მეტის ატანა აღარ შემიძლიან... დავალებით მალრჩობთ...

**არჩილ.** დამშვიდდი შაქრო!.. შენ ისევე ავად ხარ... როგორ უნდა დავანებოთ თავი ამ მდგომარეობაში?... რაც შეეხება დავალებას, შენ კარგად იცი, რომ თუ რაიმე ჩემი გემართა შენ ათი-ათასად გადამიხადე... სიკვდილს გადამარჩინე და ამით ისეთი ვალი დამდე, რომ ჩემ სიცოცხლეში ვერ გადვიხდი...

**შაქრო.** გადაგარჩინე?... ჰო, ჰო... ღიახ... გადაგარჩინე... მერე?... იცი რა ფასად?... მოლაღატე, გამცემი... დამბეზღებელი გავხდი... გაიგე?... მომშორდი... წალი... გეუბნები... გირჩევ... თორემ...

**ელენე.** უიმე, შაქრო, რა გემართებათ?... (შეხედავს არჩილს). არჩილ! (თვალით რაღასაც ანიშნებს).

**შაქრო.** ხა, ხა, ხა... კნიაჟნა, გგონიათ ქკუაზე ავირიე?... ღიახ, ღიახ... მართლა გავიჟული... თქვენმა მოწყალებამ... თქვენმა დავალებამ... და უანგარო სიკეთემ გამაგიჟა... ღიახ, ღიახ... ახლა რალას მერჩით?... აღარ მომეშვებით?... ხომ მიაღწიეთ თქვენს მიზანს?..

**არჩილ.** (მიუახლოვდება შაქროს) შაქრო, ბავშვურად ნუ იქცევი... შენ ავად ხარ, მოსვენება გქირია... იმდენად დავალებულები ვართ შენგნით, იმდენად ძვირფასი ხარ ჩვენთვის, ისე გვიყვარხარ, რომ ახლა ჩვენ შენ თავს ვერ დანებებთ... წამოდი, წამოწეკი... მოისვენე... (მოჰხვევს ხელს).

**შაქრო.** (ხელსა ჰკრავს და რამოდენიმე ნაბიჯს უკან დაიწევს). მაშ არა მომშორდები... წერას აუტანხარ!.. თუ აგრეა?... (ამოიძრობს რევოლვერს და დაუმიზნებს. არჩილი გაიწევს მისკენ. ელენე შეჰკვივლებს და გაქანდება არჩილისაკენ; ამაზე უწინ გადაელოდება ნინა და არჩილს წინ მოეფარება). შენ კარგი მფარველები გყოლია (დაუშვებს რევოლვერს)... მეც ხელი ამიტოკდა... ალბად მონობა ისე მაქვს გამჯდარი რომ ჩემს ბატონს და პატრონს ვერ ვამეტებ... (ნინა მიიწევს მისკენ. შაქრო მიიბრუნებს სწრაფად რევოლვერს და გულში დაიცემს. წაიქცევა, კვდება).

**არჩილი.** (გაქანდება მისკენ) ვიმე, შაქრო, რა ჰქენი?... (ნინა უსიტყვოდ დაემხობა შაქროს გვამს... ელენე შეწუხებული სკამზე დაეცემა).

ფ ა რ დ ა .  
ი. გედევანაშვილი.

